საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 9

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

03 მაისი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხეიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.რუსუდან კოვზირიძე, 10.იზა მაგრაქველიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის N-გ-29.29213411 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს“ დაფუძნების შესახებ;

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის N-გ-29.29213411 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი, აღნიშნულ შემადგენლობას ემატება საკრებულოს ახალი წევრი ტარიელ ფანჩულიძე, რომელიც ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლე გახდა.მან განცხადებით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს კომისიაში გაწევრიანებისათვის;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, იზა მაგრაქველიძე;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი . ცვლილება გამოწვეულ იქნა ტერმინის შეცვლით, სადაც ,,გამგეობის" ნაცვლად ჩაიწერება -მერია.

აზრი გამოთქვეს: ჯემალ ისაკაძემ, ნატალია ასათიანმა;

გადაწყვიტეს:

საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

3.მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ განკარგულების პროექტი.
-იურიდიულ კომისიას მიაჩნია, რომ საკრებულოს წევრებს, რომელთაც აქვთ საერთო მიზნები და ამოცანები, კანონიერი უფლება აქვთ შექმნან ფრაქცია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. ფრაქციის შექმნა შესაძლებელია როგორც პარტიულ, ასევე არაპარტიულ საფუძველზე. შესაბამისად არსებობს ფრაქციის შექმნის კანონიერი საფუძველი და პასუხობს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 30-ე მუხლის მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს“ დაფუძნების შესახებ განკარგულების პროექტი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: